

გურიის ადმინისტრაციული ცენტრები

ვიქტორია ჩხიტუნიძე
ოზურგეთის რაიონი
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლა
IX კლასი

ოზურგეთი

ოზურგეთის რაიონი. ადმინისტრაციული ტერიტორიული რაიონი, დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, სუფსისა და ნატანების აუზებში. 1917 წლამდე ოზურგეთის რაიონი შედიოდა ძველი ოზურგეთის მაზრაში. 1930 წლიდან ის გამოიყო ცალკე რაიონად. 1934 წლამდე მას ერქვა ოზურგეთი, შემდეგ კი რევოლუციონერ ფილიპე მახარაძის საპატივცემულოდ დაერქვა მახარაძე. ოზურგეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ლანჩხუთის რაიონი, აღმოსავლეთით ჩოხატაურის რაიონი, სამხრეთით ქობულეთის და შუახევის, ხოლო დასავლეთით კი შავი ზღვა. მისი ფართობი 675,1კმ² –ია. ოზურგეთის რაიონში შედის 1 საქალაქო (ოზურგეთი) 3 სადაბო (ლაითური, ურეკი და ქვედა ნასკირალი) და 24 სასოფლო საბჭო (ასკანა, ბაილეთი, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა,ვაკიჯვარი, დვაბზუ, თხინვალი, კონჭკათი,ლიხაური, მაკვანეთი, ს. ოზურგეთი, მელექედური, მერია, მთისპირი, ნაგომარი,ნატანები, სილაური, შემოქმედი, შრომა, ცხემლისხიდი, მიმითი, ჭანიეთიდა ჯუმათი).

ბუნება, რელიეფი. ოზურგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია მესხეთის ჩრთილო-დასავლეთ კალთას, რაიონიც აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული, შვოცენური, ვულკანოგენური ქანებით. რაიონში განვითარებული არის დანაწევრებული მთა-ხეობათა რელიეფი. ყველაზე მაღალი ადგილია ოზურგეთის რაიონში მწვერვალი “საყორნია”, რომელიც 2752 მეტრია. ოზურგეთის რაიონის შუა ნაწილში ფართოდაა გავრცელებული ნეოგენური თიხებით, ქვიშაქვებითა და



ოზურგეთი. ეთნოგრაფიის ნაკრძალი

კონგლომერეტებით ჩამოყალიბებული ტერასებიანი სერები დამალზე ძლიერ დანაწევრებული გორაკებიდა ბორცვები.რაიონის დასავლეთ მონაკვეთი მოიცავს შავიზღვისპირა ვაკეებსა და დაბლობებს. ოზურგეთის რაიონი გამოირჩევა ძირითადი წიაღისეულით: ასფალტი, რომელიც მოიპოვება ნატანებში, ბენტონიტური თიხები, ასკანასა და მთისპირში, კაოლინი მაკვანეთში, ჟანგმიწა ნაგომარში, მაგნეტიტისანი ქვიშები ურეკში და მინერალური წყლები.

ჰავა. ოზურგეთის რაიონის შუა დასავლეთ ნაწილშიჭარბობს სუბტროპიკული ჰავა.იცის თბილი ზამთარი და ზოგჯერ ძალიან ცხელი ზაფხული. აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებულია მთის ნოტიო ჰავა.ჰაერის საშუალო ტემპერატურაა 14,50 °C გრადუსიდან – 0,4 °C გრადუსამდე. იანვარში ტემპერატურა აღწევს 5,80°C გრადუსიდან –5,80°C გრადუსამდე. ხოლო აგვისტოში კი 23,50°C , 13,40°C . დაბლობზე მინიმალური ტემპერატურა –17, -18 გრადუსს აღწევს, მაღალ მთებში კი –30, -32 გრადუსი. მაქსიმალური ტემპერატურა კი 410°C და310°C შორის მერყეობს.ნალექები 2000 მმ-ზე მეტია წელიწადშიურეკში 2080 მმ-ია. ოზურგეთში 2110 მმ-ია. გომში 2160მმ-ი, ხოლო მთებში 1870 მმ-ი. მაქსიმალური რაოდენობა ნალექებისა სექტემბერშია, მინიმალური კი მაისში. ქრის სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები, ბრიზი, მთებში მთა-ხეობათა ქარი..



გურულების სამლოცველო გურიანთაში
აღდგენილია 2003 წელს

შიგა წყლები. ოზურგეთის რაიონი ძალიან მდიდარია მდინარეებით. სუფსა წყალუხვი მდინარეა და მიედინება დაახლოებით 20 კმ-ზე. მას მარცხენა მხრიდან უერთდება ზავის წყალი, ყველაზე დიდი მდინარეა ნატანები, რომელიც სათავეს იღებს ბახმაროს მთებიდან. მას უერთდება ძალიან ბევრი მდინარე. ესენია: ბჟუჟი, ჩოლოქი, ორანი, ბოგილა და სხვ. ასევე შავ ზღვასაც უერთდება მდინარეები: სეფა, სიპა და წყალწმინდა. ოზურგეთის რაიონის მდინარეები საზრდოობენ წვიმის თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალდიდობა. მდინარე ბჟუჟზე აგებულია ჰესი. ოზურგეთის რაიონი მდიდარია მინერალური წყლებით, მათი ნაწილი გამოიყენება სამკურნალოდ.

ნიადაგი. ოზურგეთის რაიონში ძირითადად გვხვდება ჭაობიანი, სუსტი ეწერიანი და ალვიურ უკარბონატო ნიადაგები. წითელი მიწა და ყვითელი მიწა გავრცელებულია გორაკებსა და ბორცვებზე. მთების შუა და ქვემო კალთებზე. მთ-მდელოს ზონაში გავრცელებულია კორდიანი, კორდიან-ტორფიანი ნიადაგები. სუსტად განვითარებული და ძლიერად ჩამორეცხილი ნიადაგი ძირითადად გვხვდება ციცაბო კალთებზე.

მცენარეული საფარი. ოზურგეთის მცენარეული საფარი მრავალფეროვნია. აქ გვხვდება 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა. რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი შემოსილია მთის ტყეებითა და მდელოებით. ზღვისპირა ადგილებში გვხვდება ისეთი მცენარეები, როგორიცაა ქვიშნარების მცენარეები. გორაკები და ბორცვები წინათ შემოსილი იყო მარადმწვანე ბუჩქნარებითა და კოლხური ტყეებით. ამჟამად ტყეები თითქმის გაჩეხილია. მოჭრილ ხეებს იყენებენ, როგორც საშენ მასალად ისე საწვავად. ბარში ტყის ზონის ზემოთ სუბალპური ტყეების ვიწრო ზოლია, სადაც ძირითადად გვხვდება პონტოური მუხა. შემდეგ მოდის სუბალპური და ალპური მდელოები, რომლის მცენარეული საფარი სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული.

ოზურგეთის რაიონის კურორტებია ურეკი – მაგნეტიტი (სამკურნალო თვისებების მქონე, უნიკალური მაგნიტური ქვიშით), შეკვეთილი, ბაკიჯვარი და გომის მთა.

ლანჩუთი



ლანჩუთი დასავლეთ საქართველოში ქალაქი და ერთ-ერთი თვალსაჩინო საქალაქო ცენტრია, რომელიც მდებარეობს გურიის დაბლობზე, სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო და საავტომობილო გზაზე. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონები, ჩრდილოეთით ხობი, ცხაკაიასა და აბაშის რაიონები, ხოლო სამხრეთით ოზურგეთის რაიონი. მისი ფართობია 533,1კმ². ლანჩუთის რაიონში შედის ერთი საქალაქო საბჭო (ლანჩუთი) და 15 სასოფლო საბჭო (აკეთი, აცანა, გვიმრაღური, ლესა-ჭინათი, მამათი, მაჩხვარეთი, ნიგვზიანი, ნიგოთი, ნინოშვილი, სუფსა, ღრმაღელე, შუხუთი, ჩიბათი, ჩოჩხათი, ჯურუყვეთი).

ბუნება. რელიეფი. ლანჩუთის რაიონში ვაკე და გორაკბორცვიანი რელიეფი ჭარბობს. ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უკავია გურიის დაბლობს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კი გურიის სერს. ყველაზე დაბალი ადგილი რაიონის შუა ნაწილია, რომელიც ზღვის დონიდან 20 მეტრზეა. ზღვის სანაპიროზე გავრცელებულია ზღვიური დიუნები. ზღვაში ჩაედინება ზედაპირული წყლები, ზღვიური დიუნები ხელს უშლიან, რის შედეგადაც ჭაობები და ტბები წარმოიქმნება. რელიეფში კარგად არის გამოსახული ანტიკლინები და სინკლინები. სერის დასავლეთი ნაწილი დაბალა 200-400 მეტრი. აღმოსავლეთ ნაწილი კი მაღალია და 500-600 მეტრამდე აღწევს. მთისწინეთის რელიეფი ძლიერ არის დანაწევრებული და საფეხურებრივად არის განლაგებული, რომელიც ხასიათდება ზღვიური და მდინარეული ტერასული ზედაპირებით.



ჰავა. გურიის დაბლობსა და გორაკბორცვებზე 200 მ სიმაღლეზე ზღვის ნოტიო ჰავაა. რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. აქ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13,0-დან 13,80-მდე. იანვარში ტემპერატურა 3,80-დან 4,60-მდე აღწევს, ხოლო აგვისტოში კი 21,80-დან, 23,10-მდე მერყეობს. მინიმალური ტემპერატურა -180-დან, -200-მდე ეცემა, ხოლო მაქსიმალური კი 410-მდეა. ნალექების რაოდენობა 2400 მმ-ს აღწევს. ხიბმაღალაზე 2400 მმ-ია, ხოლო ნიგოეთში კი 1830 მმ-ი. გვხვდება გორაკ-ბორცვიანი ადგილები, სადაც ნალექების რაოდენობა ყოველთვის 2600 მმ-ზე მეტია. ზაფხულობით გაბატონებულია სამხრეთ დასავლეთის ქარი, ხოლო ზამთრობით ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი.

შიგა წყლები. ლანჩუთის რაიონში ჰიდროგრაფიული ქსელი ხშირია. ლანჩუთის ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა სუფსა. იგი მიედინება ლანჩუთის რაიონის ფარგლებში.

სუფსა ძირითადად საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. ლანჩხუთის რაიონში გვხვდება რამდენიმე პატარა ტბა, რომელთაგან აღსანიშნავია გრიგოლეთისა და იმნათის ტბები.

ნიადაგი. ლანჩხუთის რაიონში დაქაობებული ადგილები გვხვდება ზღვის სანაპირო ზოლში. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგი, რასაც სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს ეწერ-ლებიანი ნიადაგის საკმაოდ ფართო ზოლი. წითელმიწები გვხვდება გურიის სერის კალთებზე. აქ მცირე ფართობი უჭირავს ყვითელმიწებს.

მცენარეული საფარი. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა სახე ლანჩხუთის რაიონში მცენარეულმა საფარმა. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებულია ისეთი მცენარეები, როგორიცაა ქვიშნარის მცენარეულობა. აღმოსავლეთით აკრავს მარცვლოვანი ჭაობის მცენარეები. ასევე გვხვდება ტყეები, სადაც ხარობს თხმელა, მუხა, რცხილა, და სხვა. რაიონში მრავლადაა გავრცელებული მარადმწვანე ბუჩქები, რომლებიც ქვეტყეში გვხვდება.

ლანჩხუთის რაიონის მშენებლათა კურორტი გრიგოლეთი. ზღვის პირას გაშენებული ეს კურორტი მნახველსა და დამსვენებელს იტაცებს არა მხოლოდ ზღვით, არამედ თანამედროვე ველებით, ბარებითა და რესტორნებით.

ჩოხატაური

ჩოხატაურის რაიონი შედიოდა ოზურგეთის მაზრაში. 1963-1964 წლებში შედიოდა მაშინდელ მახარამის რაიონში, ხოლო 1965 წლიდან გამოიყო დღევანდელი საზღვრებით. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება სამტრედიისა და ვანის რაიონი, ხოლო დასავლეთით ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონები. მისი ფართობია 834,3კმ². ჩოხატაური გურიის რაიონებს შორის ყველაზე დიდია, მაგრამ ნაკლებად დასახლებული. ჩოხატაურის რაიონშია დაბა ჩოხატაური. ისევე როგორც სხვა რაიონებში, ჩოხატაურის რაიონშიც სედის 1 სადაბო (ჩოხატაური) და 19 სასოფლო საბჭო(ბუკისციხე, განახლება, დაბლაციხე, დიდი ვანი, ერკეთი, ზემო სერები, ზემო ხეთი, ზომლეთი, ზოტი, ხოხნარი, ნაბელავი, საჭამიასერი, ფარცხმა, ქვენობანი, შუა განახლება, შუა სერები, ჩაის უბანი, და ხიდისთავი.).

ბუნება. რელიეფი. ჩოხატაურის რაიონის დიდი ნაქილი მთაგორიანია. რაიონში ჭარბობს ძლიერ დანაწევრებული მთისა და ხეობის რელიეფი. მისი ნაწილი შეიცავს დანაოჭებულ ფენებს. რაიონების დაალ ნაწილს მოიცავს გორაკები და ბორცვები. მათი უმეტესი ნაწილი აგებულია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ჩოხატაურის რაიონის მთავარი ქიადისეულია: მინერალური საღებავები, რკინის სურინჯი, პირიტი, საშენი ქვები, სიენიტ-დიორიტები და მინერალური წყლები.

ჰავა. ჩოხატაურის რაიონში კარგად არის გამოხატული ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა. ბარში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. მთებში ნოტიო მაგრამ ზომიერად თბილი და გრილი ჰავაა. საშუალო წლიური ტემპერატურაა 0,40 °C. იანვარში 3,60 - -10 °C და აგვისტოში 20,20 - 280 °C. მინიმალური ტემპერატურა -190, -350 °C, ხოლო მაქსიმალური

ტემპერატურაა 390 ჩ. მოდის წელიწადში 1500-1870 მმ ნალექები. გაბატონებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები. ხშირია მთა-ხეობათა ქარი.

შიგა წყლები. ჩოხატაურში მდინარეთა ქსელი ხშირია. მდინარე სუფსა, მისი ერტ-ერტი შენაკადია, ასევე მისი შენაკადებია გუბაზეული და ბარამის წყალი., რომელიც მდებარეობს რაიონის ფარგლებში. მდ. ბახვისწყლის ზემოთ. სხვა მდინარეების მსგავსად, ესენიც წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა ზამთარში, ხოლო წყალმოვარდნა წლის ყველა სეზონზე.მდ. ბახვისწყალზე და გუბაზეულზე აგებულია მცირე სიმძლავრის ჰესები. ჩოხატაურის რაიონში ხდება მინერალური წყლების ბაზარზე გამოტანა. ასევე მუშაობს წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა.

ნიადაგი. მდინარე სუფსისპირა დაბლობზე და ვაკეზე ალუვიური ნიადაგებია, ხოლო ტერასებზე საშუალო და დიდი სისქის ნიადაგები. გორაკებზე და ბორცვებზე გვხვდება წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. დაბალ და საშუალო სიმაღლის ზონაში ტყის ყომრალი ნიადაგებია გაბატონებული. მაღალ მთიანეთში მდელოს ნიადაგებია გავრცელებული. ციცაბო ადგილებშიკი გვხვდება ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები.

მცენარეული საფარი. რაიონის მცენარეული საფარი მრავალგვარია. გვხვდება 200-ზე მეტი სახეობის მცენარე, რომლებიც სიმაღლებრივი ზონების სახითაა გავრცელებული. სუფსისპირა საბლობი იყო შემოსილი ჭალის ტიპის კოლხური ტყით, რომელშიც ჭარბობდა ტირიფი და იფანი. ამჟამად ეს ტყე თითქმის მთლიანად გაჩეხილია. გორაკები და ბუჩქები ეჭირა მარადმწვანე ბუჩქებსა და ტყეებს. ტყის შემქმნელი მთავარი ჯიშებია: წიფელი, მუხა, რცხილა, წაბლი და სხვ. ტყეები მდიდარია მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ბუჩქებით. რაიონის ზოგიერთი ნაწილი გამოყენებულია სათიბ-საძოვრად. ხე-ტყის დიდი ნაწილში გააქვთ თურქეთში, გარდა ამისა ათეული წელია, რაც აქაური ფიჭვი დაავადებულია. ბახმარო და ნაბელავი ამ რაიონის მშვენებაა. დამსვენებელს იზიდავს ბახმარო, უნიკალური ჰავითა და ტყით. ნაბელავი კი წყლით.